ეთიკის კომისიის

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

დისციპლინური დევნის აღძვრაზე უარის თქმის თაობაზე

მეხუთე დისციპლინური კოლეგიის შემადგენლობა:

ხათუნა გრიგალაშვილი - კოლეგიის თავმჯდომარე

ია გაბედავა - კოლეგიის წევრი

სულხან ონიანი - კოლეგიის წევრი

საჩივრის ავტორი: ადვოკატი დ. ც სიითი / №/

საჩივრის კომისიაში შემოსვლის თარიღი: 23.01.2017

საჩივრის რეგისტრაციის ნომერი: 004/17

საჩივარი შემოტანილია: ადვოკატ მ. რ-ის მიმართ სიითი /№

საჩივრის მოთხოვნა: ადვოკატ მ. რ-თვის ,,ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ" დებულებით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის დაკისრება

I აღწერილობითი ნაწილი:

1. **საჩივრის ავტორის პოზიცია:**

1.1 2017 წლის 23 იანვარს საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიას საჩივრით მომართა დ. ც-მ და მოითხოვა ადვოკატ მ. რ-თვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება.

1.2 საჩივრის ავტორის განცხადებით, ადვოკატი მ. რ იყო მისი პროცესუალური მოწინააღმდეგე და 2015 წლის 11 მაისს მან მომართა ეთიკის კომისიას და მოითხოვა ადვოკატ მ. რ-თვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება, მისი პიროვნების განუწყვეტელი შეურაცხყოფის გამო.

1.3 საჩივრის ავტორის განცხადებით, 2016 წლის 10 დეკემბერს მას გადაეცა ეთიკის კომისიის გადაწყვეტილება, რომლითაც ადვოკატ მ. რ-ის ქმედებებში დადგინდა „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „გ“ ქვეპუნქტის და ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-9 მუხლის პირველი ნაწილის დარღვევის ფაქტი, თუმცა ადვოკატ მ. რ-ის მიმართ ეთიკის კომისიამ გამოიჩინა ლოიალურობა და პასუხისმგებლობის ფორმად განესაზღვრა კერძო სარეკომენდაციო ბარათით მიმართვა. საჩივრის ავტორის განმარტებით, ამით შეიქმნა პრეცედენტი იმისა, რომ ადვოკატს შეუძლია ორ წელზე მეტი ხნის განმავლობაში "უსინდისო", "თავხედი", "ვერაგი", "მკვლელი" და სხვა შეურაცხმყოფელი სიტყვები ეძახოს მოქალაქეს, რის შემდეგაც ეთიკის კომისიამ მას რეკომენდაციით მიმართა.

1.4 საჩივრის ავტორის განცხადებით, ადვოკატ მ. რ-თვის რეკომენდაციით მიმართვამ გამოიწვია ის, რომ 2017 წლის 12 იანვარს 12:00 სთ-ზე თბილისის საქალაქო სასამართლოში გამართულ სასამართლო პროცესზე „მსუბუქი სახდელით გათამამებულმა“ მესამე პირის წარმომადგენელმა მ. რ-მ კვლავ მიაყენა მას სიტყვიერი შეურაცხყოფა, კერძოდ, უწოდა "გაუნათლებელი" და "დემაგოგი," რაც მოხდა პროცესის დაწყებიდან მეშვიდე წუთზე.

1.5 საჩივრის ავტორი მოითხოვს, რომ ადვოკატ მ. რ-ს ხანგრძლივი დროით შეუჩერდეს საადვოკატო საქმიანობა, წინააღმდეგ შემთხვევაში, იტოვებს უფლებას მანაც მიაყენოს სიტყვიერი შეურაცხყოფა, როგორც მ. რ-ს, ისე მის ქომაგებს.

2. ადვოკატის პოზიცია:

2017 წლის 26 იანვარს ეთიკის კომისიამ ადვოკატ მ. რ-ს გაუგზავნა წერილობითი შეტყობინება, რათა წარმოედგინა ახსნა-განმარტება დ. ც.-ის საჩივართან დაკავშირებით. ადვოკატი მ. რ არ დაკავშირებია ეთიკის კომისიას და არ წარმოუდგენია რაიმე სახის ახსნა-განმარტება.

II სამოტივაციო ნაწილი

3. ფორმალური წინაპირობების შემოწმება

3.1 ადვოკატი მ. რ არის ,,საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის“ წევრი, /სიითი №/, საერთო სპეციალიზაციის. ადვოკატს ს.ს.ი.პ. ,,საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის“ წევრობა არ აქვს შეჩერებული, ასევე იგი არ არის გარიცხული საქართველოს ადვოკატთა ასოციაციიდან.

3.2 დ. ც-მ ეთიკის კომისიას საჩივრით მიმართა 2017 წლის 23 იანვარს.

3.3 სადავო ქმედება განხორციელდა 2017 წლის 12 იანვარს. „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის 32–ე მუხლის მე–2 პუნქტის საფუძველზე არ არის გასული დისციპლინური დევნის აღძვრისათვის დადგენილი ხანდაზმულობის ვადა – 5 წელი.

4. შემაჯამებელი დასკვნა

ეთიკის კომისიას მიაჩნია, რომ ადვოკატ მ. რ-ის მიმართ არ უნდა აღიძრას დისციპლინური დევნა, რადგან მოცემულ შემთხვევაში არ არსებობს ,,ადვოკატთა შესახებ'' საქართველოს კანონის 32–ე მუხლითა და ,,ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ'' დებულების 30-ე მუხლით გათვალისწინებული დისციპლინური დევნის აღძვრის საფუძველი.

5. სამართლებრივი შეფასება

5.1 საჩივრის ავტორის პრეტენზია გამოიხატა შემდეგში: მესამე პირის წარმომადგენელმა მ. რ-მ სასამართლო პროცესზე მას მიაყენა სიტყვიერი შეურაცხყოფა, კერძოდ, უწოდა მას „გაუნათლებელი“ და „დემაგოგი“.

5.2 საპროცესო კოლეგიამ იმსჯელა ადვოკატ მ. რ-ის მიერ შემდეგი მუხლების შესაძლო დარღვევის თაობაზე:

5.2.1 ,,ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის ,,გ“ ქვეპუნქტი: ,,ადვოკატი ვალდებულია არ შელახოს სასამართლოს და პროცესის სხვა მონაწილეთა უფლებები“.

5.2.2 ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-9 მუხლის პირველი ნაწილი: ,,ადვოკატი, რომელიც მონაწილეობს საქმეში საქართველოს ან უცხო ქვეყნის სასამართლოს ან ტრიბუნალის წინაშე, ვალდებულია დაიცვას და პატივი სცეს ამ სასამართლოში თუ ტრიბუნალში მოქმედ ქცევის წესებს.“

5.2.3 ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-10 მუხლის პირველი ნაწილი: " ადვოკატი ვალდებულია პატივი სცეს თავის კოლეგას.

5.3 ადამიანის უფლებათა შორის სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლება ერთ-ერთი ფუნდამენტური უფლებაა. იგი დაცულია საქართველოს კონსტიტუციის მე-19 მუხლის პირველი ნაწილისა და 24-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, თუმცა, არ არის შეუზღუდავი. საქართველოს კონსტიტუციის მე-19 მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, ,,ყოველ ადამიანს აქვს სიტყვის... თავისუფლება“. საქართველოს კონსტიტუციის 24-ე მუხლით აღიარებულია ყველა ადამიანის უფლება „თავისუფლად გამოთქვას და გაავრცელოს აზრი ზეპირად, წერილობით და სხვა საშუალებით.“ საქართველოს კონსტიტუციის მე-19 მუხლის მე-3 ნაწილისა და 24-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად სიტყვისა და გამოხატვის უფლება შეიძლება შეიზღუდოს, თუ იგი ლახავს სხვათა უფლებებს ან ღირსებას.“

5.4 ეთიკის კომისიამ 2010 წლის 29 ოქტომბრის გადაწყვეტილებაში დისციპლინური საქმეზე №076/10 ადვოკატის გამოხატვის თავისუფლებასთან დაკავშირებით განმარტა: „ადვოკატები სხვა მოქალაქეების მსგავსად სარგებლობენ გამოხატვის თავისუფლებით. მათ უფლება აქვთ გამოთქვან თავიანთი მოსაზრებები და შეხედულებები იმ მოვალეობებისა და პასუხისმგებლობის გათვალისწინებით, რომელთაც მათი პროფესია აკისრებს. გამოხატვის თავისუფლების ძირითადი სიკეთე მოსაზრებების დაცვის მაღალ სტანდარტში მდგომარეობს, მიუხედავად იმისა, ვის მიმართ არის გამოთქმული მოსაზრებები და რამდენად კრიტიკულია მათი შინაარსი.“

5.5 საპროცესო კოლეგია აღნიშნავს, რომ ადვოკატის მიერ პროცესუალური მოწინააღმდეგისთვის, მათ შორის კოლეგის მიმართ სიტყვიერი შეურაცხყოფის მიყენება ეწინააღმდეგება ადვოკატთა პროფესიული ეთიკის ნორმებს. ადვოკატმა ნებისმიერ ვითარებაში უნდა შეინარჩუნოს პროფესიული ღირსება, გამოიჩინოს მოთმინება და პატივი სცეს თავის საქმიანობას, მათ შორის სასამართლო დარბაზში სხდომის მიმდინარეობის დროს, ასევე სასამართლო დარბაზის გარეთ პროფესიული საქმიანობის განხორციელებისას და თავი შეიკავოს სუბიექტური მოსაზრებების არაკორექტულად წარმოდგენისაგან.

5.6 განსახილველ შემთხვევაში, ირკვევა, რომ 2017 წლის 12 იანვარს თბილისის საქალაქო სასამართლოში მიმდინარე სხდომაზე ადვოკატი დ. ც წარმოადგენდა მოსარჩელე მხარის

ინტერესებს და მესამე პირის ინტერესების წარმომადგენელი იყო ადვოკატი მ. რ. საჩივრის ავტორის პრეტენზიის მიხედვით, მოცემულ სხდომაზე ადვოკატმა მ. რ-მ მას მიაყენა სიტყვიერი შეურაცხყოფა, კერძოდ უწოდა მას „გაუნათლებელი“ და „დემაგოგი“.

5.7 საქმეში წარმოდგენილი 2017 წლის 12 იანვრის თბილისის საქალაქო სასამართლო სხდომის ოქმის აუდიო ჩანაწერის მიხედვით, ადვოკატმა მ. რ.-მ საჩივრის ავტორს უწოდა, არა “დემაგოგი“ და „გაუნათლებელი“, არამედ მოცემული სიტყვები აღნიშნა შემდეგ კონტექსტში: “... დემაგოგიურ განცხადებებს აკეთებს მხარე და შეჰყავს ყველა შეცდომაში... ის ქონება არის დარეგისტრირებული ინვენტარიზაციის ბიუროში...“; „...ეს არ იცის, ამდენი განათლება არ აქვს მხარეს ეტყობა...“ (თბილისის საქალაქო სასამართლოს 2017 წლის 12 იანვრის სხდომის ოქმი; 00:10:40 – 00:10:44; 00:07:30). საპროცესო კოლეგიის განმარტებით, გამოხატვის თავისუფლების დაცვის მაღალი სტანდარტიდან გამომდინარე, მოცემულ შემთხვევაში, ადვოკატს უფლება ჰქონდა, რომ მოცემული ფორმით გამოეთქვა საკუთარი მოსაზრება კოლეგის მიმართ. ადვოკატის აღნიშნული ფრაზები ექცევა გამოხატვის თავისუფლებით დაცულ სფეროში, რადგან არ არის შეურაცხმყოფელი და არ ლახავს პირის ღირსებას.

5.8 საპროცესო კოლეგია აღნიშნავს, რომ გამოხატვის თავისუფლება ექვემდებარება შეზღუდვას, თუკი სახეზეა კონკრეტული პირის უფლებისა და კანონით დაცული ინტერესის ხელყოფა. საპროცესო კოლეგიამ მ. რ-ის მიერ პროცესუალური მოწინააღმდეგის მისამართით გამოთქმულ მოსაზრებებში: “... დემაგოგიურ განცხადებებს აკეთებს მხარე და შეჰყავს ყველა შეცდომაში...“ „ეს არ იცის, ამდენი განათლება არ აქვს მხარეს ეტყობა..." ვერ აღმოაჩინა უფლებისა თუ ინტერესის ხელყოფის ფაქტი. შესაბამისად, საპროცესო კოლეგია ვერ გაიზიარებს საჩივრის ავტორის მითითებას ადვოკატის მხრიდან მის შეურაცხყოფასთან დაკავშირებით.

5.9 საპროცესო კოლეგია მიიჩნევს, რომ არ არსებობს დასაბუთებული ვარაუდი ადვოკატის მიერ დისციპლინური გადაცდომის ჩადენის თაობაზე და მოცემულ შემთხვევაში, ადგილი არ აქვს „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის ,,გ“ ქვეპუნქტისა და ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-9 მუხლის პირველი ნაწილისა და მე-10 პირველი ნაწილის დარღვევას და მიიჩნევს, რომ ადვოკატ მ. რის მიმართ არ არსებობს დისციპლინური დევნის აღძვრის საფუძველი.

III სარეზოლუციო ნაწილი

საპროცესო კოლეგიამ იხელმძღვანელა ,,ადვოკატთა შესახებ'' საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „გ“ ქვეპუნქტით, 32–ე და 33–ე მუხლებით; ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-9 მუხლის 1-ლი ნაწილით და მე-10 მუხლის პირველი ნაწილით; ,,ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ'' დებულების მე–4 მუხლის მე–6 პუნქტით, მე–19 მუხლით, 27–ე მუხლით, 28–ე მუხლით, 30–ე მუხლის მე–2 პუნქტით, 31–ე მუხლით და 40–ე მუხლის პირველი პუნქტით და გადაწყვიტა:

1. დისციპლინურ საქმეზე №004/17 ადვოკატ მ. რ-ის მიმართ, /სიითი №/, არ აღიძრას დისციპლინური დევნა.

2. გადაწყვეტილების ასლი გაეგზავნოს მხარეებს.

3. საპროცესო კოლეგიის გადაწყვეტილება არ საჩივრდება.

კოლეგიის თავმჯდომარე /ხათუნა გრიგალაშვილი/

კოლეგიის წევრი /ია გაბედავა/

კოლეგიის წევრი /სულხან ონიანი/